საქართ მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის მთავარ კომიტეტის ორგანო.

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 120,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე 300,000 მ.; უკანასკნელზე 200,000 მ. კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 10—34.

ფასი 5000 მან.

№ 188

შაბათი, აპრილის 9

1922 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველდღიური გაზეთი

ტრიბუნა

ორგანო მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის მთავარი კომიტეტისა.

1922 წლის 1 იანვრიდან თვეში გაგზავნით ღირს 120,000 მანეთი. ცალკე ნომერი ყველგან 5000 მანეთი.

უფასოდ გაზეთი არავის გაეგზავნება.

ხელის მოწერა მიიღება თვის 1 რიცხვიდან.

რედაქციის და კანტორის მისამართი: ტფილისი, სასახლის ქ. № 6.

ღრმა მწუხარებით მოცულნი სახ. უნ. სტუდენტები: შუშანა მუცხრიკიძე, თამარ ციცქიშვილი, გრ. ლასკარი, კოლია ჩაჩავა, გრ. გიორგაძე, პოლიკარპე მურღული და ლადო ქებულაძე მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთა და მეგობრებს სახელმწიფო უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტის

ვალერი ხარაძის ქალი

ტრაგიკულად გარდაცვალებას. დასაფლავება მოხდება დაბა ხარაგოულში აპრილის თერთმეტს.

თავზარდაცემული ამხანაგები მურჯანაძე, ც. ვარდოსანიძე თ. ვარდოსანიძე. შ. ლოლაშვილიძე, თ. ხასრაძე თ. ხვედელიძე მესხ-თ, ქ. ჩახნაშვილი და შუბლაძე, მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს დაუვიწყარი ამხანაგის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო დარგის სტუდენტი ქალის

ვალერია იოსების ასულის

ხარაძის

ტრაგიკულად გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება შორაპნის მაზრაში სოფ. ფარხანალის მღვთისმშობლის ეკლესიის სასაფლაოზე.

144

ოთხშაბათს, აპრილის 12-ს დილის 10 საათზე

ქ. ტფ. აღმასკომის შენობის ეზოში (ყოფილი ქალაქის თვითმმართველობის) გაგრძელდება საჯარო ვაჭრობა

ნოხეულოზაზე

243

განცხადება

აპრილის შუა რიცხვებიდან გამოვა ორკვირეული გამოცემა ქართულ ენაზე

„ფოსტა-ტელეგრაფის ცხოვრება“

ფოსტელსახკომისარიატთან არსებულ სარედაქციო კოლეგიის მიერ ჟურნალში მოთავსებული იქნება სხვა და სხვა განკარგულებანი და მოქმედებანი ფოსტელ სახკომისარიატის და ფოსტელპროკავშირის ცენტრალური გამგეობისა.

პროვინციელ კორესპონდენტებს შეუძლიათ აგზავნონ წერილები ფოსტელცხოვრებიდან, აგრეთვე ყოველგვარი მასალა შემდეგი მისამართით: ფოსტელსახკომისარიატი, სარედაქციო კოლეგიას.

## ბერლინის კონფერენცია

კომუნისტებს ამ ჟამად ორს ფრონტზედ აქვსთ მოლაპარაკება. ერთის მხრით ისინი საზავო ურთიერთობაში შედიან კაპიტალისტურს სახელმწიფოებთან და ცდილობენ ევროპის კაპიტალის დახმარებით აღადგინონ რუსეთის დანგრეული მეურნეობა. მეორეს მხრით მოლაპარაკებას აწარმოებენ მემარჯვენე სოციალისტებთან, ორი და ორნახევარი ინტერნაციონალების წარმომადგენლებთან მუშათა გაერთიანებული ფრონტის შესაქმნელად საერთაშორისო კაპიტალის წინააღმდეგ.

ორივე ამ პოლიტიკას ღრმად გამამართლებელი მიზეზები უდევს სარჩულად და მათი მიზან-შეწონილობა დღეს ყველა ჭეშმარიტი რევოლიუციონერისათვის ნათელი და გარკვეულია. საკითხი იბადება მხოლოდ იმ მხრით, თუ რამდენად შესძლებენ კომინტერნი და საბჭოთა რესპუბლიკები ჩამოაგდონ ხავი აღნიშნულ მხარეებთან და მონახონ მათთან ერთი საერთო ენა. აქ არის საკითხის სიმძიმე ჩამარხული და ამ პრაქტიკულ ნიადაგის გამორკვევის დროს მრავალგვარი დამაბრკოლებელი მიზეზები იბადებიან, რომელთა ძლევა არც ისე ადვილი საქმეა.

კაპიტალისტურს სახელმწიფოებთან ურთიერთობის განმტკიცების საკითხი ჯერ მხოლოდ მომზადების პროცესში არის და ორიოდე დღის შემდეგ გენუაში ერთი მეორეს წინაშე წარსდგებიან სოციალისტური და იმპერიალისტური მსოფლიოს წარმომადგენელნი და მაშინ საშუალება მოგვეცემა გამოვარკვიოთ, თუ როგორს სახეს მიიღებს ამ ორ მხარეთა მოლაპარაკების საკითხი.

რაც შეეხება მემარჯვენე სოციალისტებთან მოლაპარაკებას, იგი უკვე დაიწყო აპრილის 3-ს და ევროპის ქალაქებიდან მოსული ცნობებით, საშუალება გვაქვს ასე თუ ისე ავსწონ-დავსწონოთ ამ მოლაპარაკების პროცესი.

ბერლინის სოციალისტურს კონფერენციას დაესწრნენ მეორე, ორნახევარი და მესამე ინტერნაციონალების აღმასრულებელ კომიტეტების წარმომადგენელნი. კომინტერნის მხრით იქ გაგზავნილნი არიან ამხანაგები: კლარა ცეტკინა, კ. რადეკი, ნ. ბუხარინი, ფროსარი და სხვა. ორნახევარ ინტერნაციონალის აღმასკომს წარმოადგენენ: ადლერი, ლონგე, კრისპინი, ფორი და სხვა; მეორე ინტერნაციონალს—ვანდერველდე, მაკდონალდი, შოუ. კონგრესს ესწრებიან სხვა და სხვა ცნობილი სოციალისტები. ამგვარად შესაძლებელი შეიქმნა კონგრესის მოწვევა და გახსნა, მაგრამ თუ რამდენად დადებითს ფორმებში მიმდინარეობს კამათი და როგორს შანსებს იძლევა კონგრესი, ამის შესახებ პასუხს გვაძლევს ბერლინიდან მოსული რადიო: იმედები, რომ კონფერენცია მოგვცემს დადებითს შედეგებს და მიღწეული იქმნება შეთანხმება—მინიმალურია.

კამათი, როგორც ირკვევა კუდშეკვეცილი რადიოებიდანაც, ერთობ ცხარე ხასიათს ღებულობს და კრების გახსნიდანვე აშკარა შეიქმნა ის წინააღმდეგობანი, რომელიც არსებობს სოციალისტებს შორის.

რა ასულდგმულებს კონფერენციას, რა არის მისი მთავარი მიზანი? ადლერმა სამართლიანად აღნიშნა, რომ კონფერენციის მიზანი არის არა ორგანიზაციული შეერთება სხვა და სხვა ინტერნაციონალებისა, არამედ მიღწევა მთლიანობისა ლოზუნგებში და მეთოდებში საერთო გამოსვლებისათვის: ამისათვის კონფერენციის მონაწილენი უნდა იდგნენ კლასთა ბრძოლის საზრისზე და უნდა ხელს უწყობდნენ პროლეტარული ფრონტის გაერთიანებას. კომინტერნის წარმომადგენელმა ამხ. კლარა ცეტკინმა დაადასტურა ეს დებულებანი, როდესაც განაცხადა, რომ თანამედროვე მომენტი დაჟინებით მოითხოვს მუშათა კლასისაგან გაერთიანებას თავდაცვითი ბრძოლისათვის. გარეგნულის ფორმით ირკვევა, რომ თითქოს ინტერნაციონალის წარმომადგენელნი შეთანხმდნენ და მათ შორის აღარ დარჩა არავითარი სადავო. მაგრამ საკმარისი შეიქმნა ზოგად განცხადებებიდან პრაქტიკულ პოლიტიკის ნიადაგზედ გადასვლა, რომ წინააღმდეგობამ მთელი თავისი სიძლიერით წამოყო თავი და კონგრესის გაგრძელება თითქმის შეუძლებელი შეიქმნა.

მუშათა გაერთიანების პოლიტიკა მარტო ზოგადი განცხადებებით არ იკვებება, მას თავის პრაქტიკული შინაარსი აქვს, რომელმაც უნდა განსაზღვროს პროლეტარიატის სამოქმედო გეგმები. პროლეტარული მასების გაერთიანება უნდა მოხდეს კონკრეტულ მოვლენებს გარშემო, რეალურ ფაქტების ნიადაგზედ; თავის პრაქტიკულ პოლიტიკის საგნად გაერთიანებულმა პროლეტარულმა ფრონტმა უნდა დაისახოს ის მტკივნეული კითხვები, რომელნიც არსებითად შეეხებიან მისი არსებობის მდგომარეობას. გარეშე ამ დებულებებისა მუშათა გაერთიანებულ ფრონტის იდეას თავისი შინაარსი ეკარგება და ჰაერში დარჩება გამოკიდებული.

საკითხის ასე დასმა არსებითად ნიშნავს თანამედროვე მომენტის შეფასებას, თანამედროვე საერთაშორისო კითხვების წამოყენებას. რამდენიც არ უნდა ეცადნონ კონფერენციის წევრები ამ გარემოებას გვერდს ვერ აუხვევენ. ეს მომენტი კი არსებითად ანსხვავებს სოციალისტურს პარტიებს ერთი მეორესაგან, რაც თავის თავად აშწავებს შეთანხმების შესაძლებლობას.

კომინტერნი ბერლინის კონფერენციაზე გარკვეული პროგრამით წარსდგა და დღიურ კითხვაში აღნიშნა სწორედ ის საკითხები, რომელნიც თანამედროვე საერთაშორისო ცხოვრების ძირითად მომენტებს წარმოადგენენ. მუშათა თავდაცვა კაპიტალის თავდასხმისაგან, მომზადება ბრძოლისა მოსალოდნელ ახალ კაპიტალისტურ ომების წინააღმდეგ, ხელის შეწყობა რუსეთის აღდგენისათვის, ვერსალის ხელშეკრულება და სხვა, სწორედ იმ დიდ რგოლებს წარმოადგენენ საერთაშორისო პოლიტიკის, რომელნიც აუცილებლად მოითხოვენ გადაჭრილსა და გარკვეულს პასუხს სოციალისტების კონფერენციისაგან. გაერთიანებულმა მუშათა კლასმა უნდა იცოდეს, თუ როგორი ნაბიჯები უნდა გადასდგას და როგორ მოიქცეს ამა თუ იმ დიდ საერთაშორისო მომენტის დროს.

ამ რამდენიმე დღის შემდეგ უნდა გაიხსნას გენუას კონფერენცია. ამ კონფერენციას შეუძლია დიდი როლი ითამაშოს საერთაშორისო ცხოვრების ვითარებაში; საერთო ტენდენცია და მიზნები გენუაში მიმავალ კაპიტალისტურ სახელმწიფოებისა გვეუბნება, რომ მათ სურთ გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩააყენონ საბჭოთა რუსეთი და აიძულონ ის დასთანხმდეს მათ პირობებს. გენუას კონფერენციის საპასუხოდ საჭიროა პროლეტარიატის შეთანხმებული ფრონტით გამოსვლა და მისი გაბედული ნებისყოფის გამომჟღავნება, რომ კაპიტალისტური ევროპა დათმობის გზას დაადგეს და მსოფლიო არ ჩავარდეს უფრო დიდს კრიზისებში. სწორედ ეს აზრი ედვა სარჩულად კლარა ცეტკინას განცხადებას, რომ გენუას კონფერენციის ერთდროულად მოწვეული ყოფილიყო სოციალისტური კონფერენცია.

ჩვენ არ ვიცით, მემარჯვენე სოციალისტებმა როგორ შეხედეს ამ წინადადებას და როგორი პასუხი გასცეს მას. ვიცით მხოლოდ, რომ წინადადებაში გატარებულმა აზრმა ვერსალის ხელშეკრულების გადასინჯვის შესახებ ძლიერ ააშფოთა ბელგიის სამეფო მინისტრი, მეორე ინტერ-ლის ბელადი ე. ვანდერველდე და მთელი კონფერენცია კრიზისის წინაშე დასდგა.

ე. ვანდერველდე წინააღმდეგი არის ვერსალის საზავო ხელშეკრულების გადასინჯვისა. ამხ. კლარა ცეტკინის განცხადებაზე იგი პათეთიურის კილოთი აცხადებს, რომ საზავო ხელშეკრულების გადასინჯვა შეიძლება ხელსაყრელი იყოს გერმანიის მუშებისათვის, მაგრამ იგი სრულებით მიუღებელი არის საფრანგეთის და ბელგიის მუშათა კლასისათვისო, ამგვარად ვერსალის ხელშეკრულება, ეს მართლაც ავაზაკური აქტი მსოფლიო ყაჩაღებისა, შეიქმნა იმ საგნად, რომელმაც გამოაშკარავა კონფერენციაზე არსებული წინააღმდეგობანი.

მეორე ინტერნაციონალის ხელმძღვანელი წინააღმდეგი არის ვერსალის ხელშეკრულების გადასინჯვისა და ასეთი რევიზია არ მიაჩნია სასარგებლოდ საფრანგეთისა და ბელგიის მუშებისათვის. ვანდერველდემ ამ განცხადებით ერთხელ კიდევ დაადასტურა მთელი მსოფლიოს მუშათა კლასის წინაშე სრული სიკოტრე და იდეური გახრწნა მეორე ინტერნაციონალისა. ეს განცხადება ნათლად ამტკიცებს, რომ რეფორმისტები არ მოშორებიან იმპერიალისტებთან ერთად სიარულს და ღრმად არიან ჩაფლულნი ბურჟუაზიული პოლიტიკის ჭაობში. საინტერესო ხდება მხოლოდ ერთი კითხვა, ნუ თუ მთელი შემადგენლობა მეორე ინ-ლის პარტიებისა მხარს უჭერს ვანდერველდეს განცხადებას? შეუძლებელია, რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატიამ მხარი დაუჭიროს მას. ასევე შეიძლება ითქვას ავსტრო-ჰუნგრეთისა და სხვა ს-დემ. პარტიების შესახებ. ვერსალის ხელშეკრულება ამ სახელმწიფოებისთვის პირდაპირ დამღუპველი შეიქმნა და მათთველ პარტიებთან ერთად ს-დ-ები ცდილობენ მისი დიპლომატიურის საშუალებით გადასინჯვას. ასე, რომ მეორე ინ-ლი ამ კითხვაში შეუძლებელია ერთის აზრის იყოს და ვანდერველდეს განცხადება გამარჯვებულ მოკავშირეთა ს.-დ.-ების აზრი არის. ეს გარემოება ააშკარავებს იმას, თუ რამდენად მთლიანია მეორე ინტერნაციონალი და რამდენად ატარებს ის ომში გამარჯვებულ მოკავშირეთა სურვილებს, ვანდერველდესთვის არსებობს მხოლოდ საფრანგეთისა და ბელგიის მუშები და მათი ინტერესების საზომით სჭრეტს საერთაშორისო მოვლენებს. მას არ შეუძლია კითხვა ინტერნაციონალების მაშტაბში გადაიტანოს და საერთო საზომით მიუდგეს ხელშეკრულებას. ფაქტიურად ვანდერველდეს საზომი არის გამარჯვებულ მოკავშირეთა თვალსაზრისი, რომელსაც სურს დამარცხებულ მხარეების პროლეტარულ მასების ზურგზედ აინაზღაუროს თავისი მოგება. ვანდერველდე, როგორც ერთგული გრენადერი გაუმაძღარი იმპერიალიზმისა? მედგრად იცავს მის ინტერესებს და ამით პროლეტარულ წრეებში შეაქვს დიდი განხეთქილება ნაციონალისტურს ნიადაგზედ.

მეორეს მხრით, თუ ჩვენ ამ განცხადებას თანამედროვე მდგომარეობის საზომით განვიხილავთ, უნდა ვაღვიაროთ, რომ ვანდერველდე და მასთან ერთად მთელი მეორე ინ-ლი აშკარა რეაქციონურ პოლიტიკას ადგია და დაუკარგავს უნარი მდგომარეობის კრიტიკულად შეფასებისა. ვერსალის ხელშეკრულებამ გააკოტრა მთელი კაცობრიობა და უსაშინლესი ეკონომიური კრიზისები შექმნა. ვერსალის მეთოდები და საშუალებანი მიუღებელი შეიქმნა მსოფლიოს სამეურნეო ცხოვრების წარმოებისათვის. ამ პირობებში ავაზაკურად სძარცვავს გერმანიის ხალხს, რომლის მარტო სარეპარაციო გადასახადი ხუთ-ნახევარ მილიარდ გირ

ვანქა სტერლინგს უდრის: ვერსალში შემუშავებული საშუალება არ შეესაბამება თანამედროვე ვითარებას და გონიერი პოლიტიკა მის უარყოფას მოითხოვს. ნაწილი ევროპის ლიბერალური აზროვნებისა ნათლად ამჩნევს იმ შედეგებს, რომელიც მოიტანა ვერსალმა და დაჟინებით მოითხოვს მის გადასინჯვას. ამ აზრის არის ვერსალის საზავო კონფერენციის ცნობილი მრჩეველი—ფინანსისტი კეინსი. არც ინგლისის მთავრობა არის ვერსალის ხელშეკრულებით კმაყოფილი. ამერიკა მის წინააღმდეგ ილაშქრებს. ასეთს პირობებში ვანდერველდეს აქვს გამბედაობა მეორე ინ—ლის სახელით დაიცვას ეს ხელშეკრულება და გვერდში ამოუდგეს პუანკარეს მთავრობას. ვანდერველდე ადასტურებს გერმანიის ხალხის ძარცვის პოლიტიკას და ევროპის განახლებას ვერსალის მეთოდებში ხედავს ამიტომ სრულიად სამართლიანი არის ამხ. კ. რადეკის განცხადება, რომ ვანდერველდე ერთს ნავში ზის იმათთან, ვინც ფაქტიური პასუხისმგებელია ომისა და ღირსი არ არის სარგებლობდეს მუშების ნდობით.

მაგრამ ვანდერველდეს დაავიწყდა ის დადგენილება, რომელიც მეორე ინტერნაციონალის ბერნის კონფერენციის კომისიამ გამოიტანა 1919 წელში ვერსალის ხელშეკრულების შესახებ და რომელიც უქვეშევრდომილესი მოწიწებით წარუდგინეს ბ. კლემანსოს, საზავო დელეგაციის თავმჯდომარეს. მეორე ინტერნაციონალის დეკლარაცია ბევრს რამეში ეთანხმებოდა საზავო ხელშეკრულების პროექტს, მაგრამ მაინც ხედავდა მასში დიდი საფრთხის შესაძლებლობას. ბერნის კონფერენციის აღმასრულებელი კომისია თავის დეკლარაციაში სხვათა შორის სწერდა: „Изследуя одновременно во всех их последствиях предположенныя условия, комиссия ин—ла с тревогой усматривает в тексте мирного договора многочисленныя угрозы для будущего мира. . .

. . . Етот мир не наш мир и что перед народами стоит еще угроза видеть политику победителей докатившейся до простого раздела добычи без всякого размышления о неминуемых последствиях такого раздела".

არსებითად მეორე ინ—ლის შეფასება საზავო ხელშეკრულებისა ლიბერალურ—ბურჟუაზიულია და იქ არ იყო საკითხი დასმული სოციალისტურ ნიადაგზედ. მიუხედავად ამისა, კომისია მაინც დიდ საფრთხეს ხედავდა ვერსალის პირობებში. დღეს ვანდერველდე ამ ხელშეკრულების მხურვალე დამცველად გამოდის და მომავლისათვის საშინელ საფრთხეს ხედავს მის გადასინჯვაში.

ჩვენთვის ნათელი არის, რომ იუსტიციის სამეფო მინისტრი პირნათლად ასრულებს საფრანგეთისა და ბელგიის ბანკირებისა და სპეკულიანტების დავალებებს და მას არ აქვს ზნეობრივი უფლება ამ ქვეყნების პროლეტარიატის სახელით ილაპარაკოს. ვანდერველდე და მთელი მეორე ინ—ლი გამანადგურებელი შხამი არის სოციალური რევოლიუციისათვის და მუშათა გაერთიანებული ფრონტი მათ სურთ არა მუშათა ინტერესების დასაცავად, არამედ კაპიტალისტურ მაგნატების გასაძლიერებლად.

ამრიგად ბერლინის კონფერენციის დასაწყისშივე გამოაშკარავდა მთელი მეორე ინ—ლის იდეური სიკოტრე და ღალატი მუშათა კლასის მიმართ. ვნახოთ კონფერენციის შემდეგი მსვლელობა როგორს სახეს მიიღებს.

სიმ. ხუნდაძე.

# არჩილ ჯორჯაძე

(მეგობრის მოგონება).

პირველად განსვენებული არჩილ ჯორჯაძე 1891 წელს გავიცანი ტფილისში, როცა ის I გიმნაზიის მე-VIII კლასის მოწაფეთ იყო. ლონჯი, დაფიქრებული და თან მეტად საჭდომიანის სახის ყმაწვილი კაცი თავის ამხანაგებში ერჩეოდა და მთელს ჩვენს სიმპატიას თვისკენ იზიდავდა. დედ-მამა, ერთს დროს შეძლებულები, ადრევე დაეხოცა და ახალგაზრდა არჩილის საზრუნავი იყო საკუთარი თავი, ორი და და ერთიც პატარა ძმა, მაშინ სარეალო სასწავლებლის მე IV კლასის მოწაფე. თვალ წინ მიდგა, როგორია ზრდიდა და ერთს ღარიბულს სასადილოში როგორ აჭმევდა თავისთან ერთად ღარიბულს სადილებს თავისს უმცროსს ძმას კერძო გაკვეთილებით აღებულ ფულით, (თვეში სამ მანეთიანი) მაღალ მშობლიურ ზრუნვად გადაქცეული თვით საზრუნავი ყმაწვილი კაცი.

გიმნაზიის კურსის დამთავრების შემდეგ, არჩილი პეტროგრადის უნივერსიტეტში შევიდა საფილოლოგიო ფაკულტეტზე. უნივერსიტეტში გაუტაცნია ფილოსოფიას, კერძოდ სარწმუნოებრივს კითხვას და ჯერ ისევ სტუდენტობაში იყო ბუდას მოძღვრების შესახებ ერთი სერიოზული შრომაც დაუბეჭდნია რუსულ ჟურნალ „Сѣверный Вѣстникъ"-ში. პეტროგრადის უნივერსიტეტიდან არჩილი გადასულა ვარშავისაში, სადაც მსახურებდა ვარშავის ციხის კომენდანტად მისი ნათესავი, აწ განსვენებული გენერალი გიორგი ყაზბეგი.

ვარშავში არჩილი ერთ ორ წელიწადს დარჩენილა. ლ. ტოლსტოის მოძღვრებით გატაცებული გადასულა ლონდონში და მოქცეულა ტოლსტოის მოწაფის და მათაყვანებლის ჩერტკოვის წრეში, ორიოდ წელიწადიც ლონდონში დაუყვია ტოლსტოელთა კოლონიაში და გადმოსულა პარიზში, სორბონიაში სასწავლოდ.

პარიზში არჩილს სწორედ 1900 წელს ჩავუსწარი. სცხოვრობდა პანთეონის მოედანზე სასტუმრო „Hôtel des Grands Hommes" (სახუმაროდ „ქართველთა სასტუმროდ" იყო მონათლული). სულ დიდს, დიდს გატაცებაში იყო, ტოლსტოის ფილოსოფიაზე ჯერ კიდევ ხელი არ აეღო. ყოველსავე შემთხვევაში, მასთან საუბრისაგან იმ შთაბეჭდილებას კაცი ვერ გამოიტანდა, რომ არჩილი საქართველოს ბედ-იღბლის ფიქრში შეებმებოდა ოდესმე და კერძოდ ქართულს მწერლობაში მიიღებდა მონაწილეობას. იმას მაინც ვერ იფიქრებდით, რომ არჩილ ჯორჯაძე გახდებოდა საქართველოს ს.-ფედერალისტთა პარტიის იდეოლოგად და თეორიულ ხელმძღვანელად. ყოველისავე ამისათვის ისიც უშლიდა ხელს, რომ ქართული ენა თითქმის დავიწყებული ჰქონდა, ქართულად საყველ პურო ბაასს თუ-და ახერხებდა. მოკლედ რომ ვთქვათ, არჩილი მაშინ ეკუთვნოდა ქართულ ახალგაზრდობის იმ წრეს, რომლისაც რუსულის სწავლა-აღზრდას დაეყოფით, ქართული ფიზიონომია დაკარგული ჰქონდა, და რომელიც თვით საქართველოს პოლიტიკურ კლიოს გაღეწილად სთვლიდა. ამ წრეს სამშობლოსათვის ზრუნვა, ქართულ ხალხის აღდგენისათვის ფიქრი და მისთვის მეცადინეობა, მოცლილი მეტი რომ არა ვსთქვათ, ადამიანის საქმედ მიაჩნდა.

მაგრამ ტრაგიზმი არჩილ ჯორჯაძის მაშინდელ ყოფნისა უფრო ის იყო, რომ სხვა და სხვა, მისთვის ხელის შემშლელი პირობათა და განსაკუთრებით, მატერიალურად შევიწროებულის მდგომარეობის, წყალობით, არჩილი იმდენს ძალას ვერა ჰგრძნობდა, მთელის კაცობრიობისათვის ემსახურნა, ყოფილიყო მთელის მსოფლიოს იდეას მატარებელი და კაცობრიობის სალაროში თავისი წვლილი შეეტანა. აღარც საქართველოში იცნობდნენ უკვე 27—28 წლის ვაჟკაცს.

მთელი წელიწად ნახევარი, რაც ერთად ვიყავით, ამ სულიერს ბრძოლას განიცდიდა განსვენებული. 1901 წლის შემოდგომაზე, ერთ საღამოს ვანახულე არჩილი და იმანაც აღსარებასავით შემდეგი მითხრა: მომბეზრდა ამდენი უგზო-უკვლო და თუ გინდა, უმიზნო ცხოვრება. გადავსწყვიტე სამშობლოში დავბრუნდე. მაგრამ ისე არ მინდა მივიდე ჩემიანებთან, თუ წინასწარ რამდენიმე წერილი არ დავბეჭდე „ცნობის ფურცელში" (მომავალ საქართველოს ს ფედერალისტთა პარტიის მაშინდელი არა ოფიციალური ორგანო) და ასე თუ ისე ჩემი თავი არ გავაცანი საზოგადოებას აქედამვე.

— ქართულად წერა რომ არ იცი, ჩემო არჩილ, როგორ უნდა დასწერო რამე?—ვკითხე.

— მართალია, მაგრამ ერთი-ორჯელ შენ მათარგმნე რუსულიდამ, ერთი-ორჯელაც თვით ჩემი ქართული ნაწერი გამისწორე და მერე ვნახოთ.

თქმა და საქმის შედგომა ერთი იყო. ორ კვირას, თუ ცოტა მეტს, გაგრძელდა აწნაირი მუშაობა. პირველად ძალიან ეძნელებოდა, მაგრამ შემდეგ თითონ ახერხებდა პირდაპირ ქართულად ეწერა, ბოლოს და ბოლოს მსუბუქ შალაშინის გაკვრა ღა სჭირდებოდა მის ნაწერებს. როცა პარიზში მოგვივიდა „ცნობის ფურცლის" ნომრები, როცა არჩილის წერილები იყო დაბეჭდილი, მის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა... ადამიანი გამოცოცხლდა, გახალისდა, თითქო ხელახლა დაიბადაო. ახლა კი შემიძლია სამშობლოში დავბრუნდეო.

1901 წ. დამდეგს არჩილი საქართველოში გამოვისტუმრეთ. მასთან ერთად წამოვიდა განსვენებული გიორგი დეკანოზიშვილიც საქართველოს სოც.-ფედერალისტთა პარტიის მომავალი ორგანო „საქართველოს" დამარსებელი. ეს ის დრო იყო, როცა მომწიფდა აზრი საქართველოს სოც.-ფედერ. პარტიის დაარსებისა და საზღვარ-გარედ საკუთარ არალეგალურ ორგანოს გაჩენისა. პარიზიდან წამოსული გ. დეკანოზიშვილი შეუდგა ზრუნვას ორგანოს დასაარსებლად და საკუთარ სტამბისათვის საჭირო თანხის შეგროვებას. ხოლო ტფილისში დაარსებულ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა არჩილ ჯორჯაძეს დაავალა პარიზშივე დაბრუნება და რედაქტორობა პარტიის ორგანოსი, რომელსაც „საქართველო" უნდა რქმეოდა.

1902 წ. შემოდგომაზე არჩილი დაბრუნდა საქართველოდან პარიზში; მას მოყვა გ. დეკანოზიშვილიც. [illegible] მომავალი ორგანოსათვის პროექტი „პარიზული" [illegible] შეუდგა მასალების წერას „საქართველოსა" და „La Géorgie"-სათვის [illegible] 1903 წლის [illegible] გამოვიდა პარიზში, გაზეთს მოყვა არჩილის სხვა და სხვა პარტიულ კითხვების შესახები წიგნაკებიც.

1904 წელს არჩილს ჭლექი გამოაჩნდა და იძულებულნი ვიყავით შვეიცარიაში გაგვესახლებინა საექიმოდ. მიუხედავად ავადმყოფობისა, შვეიცარიიდან განაგრძობდა „საქართველოს"-სათვის მასალების გზავნას. ყოველ წერილში სჩიოდა,—მომბეზრდა ავადმყოფობა და მინდა ექიმობა, მინდა პარიზში ჩამოვიდე, ვიმუშავო და მუშაობაშივე მოვკვდე, სულ ერთია, დიდი ხნის სიცოცხლე არ მიწერია, 1905 წლის დამდეგს ჩამოვიდა კიდეც პარიზში და განაგრძობდა მუშაობას უფრო მომეტებულად ისე, როცა 39° სიცხე ჰქონდა ხოლმე.

1905 წლის პირველი თვეები. იაპონიასთან ბრძოლაში დამარცხებული რუსეთი უძლურდება. მთავრობა აღელვებულ ხალხს თავს ვეღარ უვლის. იწყება რევოლიუცია. მომავალ განთავისუფლების სუნი ტრიალებს ჰაერში. პარტიები მხურვალედ მუშაობენ. ყველას აღფრთოვანება ეტყობა. ჩვენი სამშობლოც საერთო ფერხულში ებმის. პრესა თითქმის თავისუფლად სწერს ყველაფერზე. ყველას იმედი გვესახება, რომ მოახლოვებულია ჟამი, როცა ფედერალისტთა პარტიის ოცნებას—საქართველოს ავტონომიას—ფრთები შეესხმის, სინამდვილედ გახდება.

პარიზის ქართველობის კოლონია კრებას მართავს და ბჭობს, კარზე მომდგარ რევოლიუციაში, თუ რაგვარი მონაწილეობა უნდა მივიღოთ. გადაწყდა, გ. დეკანოზიშვილის გარდა, რომელისთვის საშიში იყო რუსეთში შემოსვლა, რადგან რუსის მთავრობის აგენტები ყოველ მის ნაბიჯს თვალყურს ადევნებდნენ და მისი ჩამოსვლა და დაჭერა ერთი იქნებოდა. ჩვენს თანამშრომელს ალ. გაბუნიას გ. დეკანოზიშვილი მაკედონიაში ისტუმრებს, იქაურ სარევოლიუციო მოძრაობის გასაცნობად და, კერძოდ, როგორც სპეციალობით ქიმიკოსს, ევალებოდა გასცნობოდა იქვე წარმოებულ „მაკედონიურ" ყუმბარების (ხელსასროლი ყუმბარები იყო და იმ ხანებში დიდი გასავალიცა ჰქონდა) კეთების საქმეს. სხვებს გამო ვუწყვეთ სამისადგომოდ „საქართველოს" №№ და სამშობლოში გამოვისტუმრეთ. თვით „საქართველოს" ბეჭდვა პარიზში შეჩერდა. ერთად-ერთი ასოთ-ამწყობი, აწ განსვენებული მიხ. კიკნაძე წამოვიდა.

# სატირიკონი

## (გაზეთი გაზეთში)

ყოველ კვირეული იუმორისტული გამოცემა.

№ 3. № 3.

**ხელის მოწერა.**

„სატირიკონზედ" არ მიიღება, ვინაიდან რედაქციის მეცადინეობით ტეხნიკა იმდენად განვითარებულია, რომ ჩვენი გამოცემა თავის თავად მიუვა „ტრიბუნის" ხელისმომწერლებს.

**თანამშრომელთა საყურადღებოდ.**

ყოველი მასალა უნდა გამოიგზავნოს „ტრიბუნის" მისამართით და წარწერით: „სატირიკონისათვის".

### ამხანაგი ახეკოპოლი.

(ბიოგრაფიული ცნობები)

თუმცა ახეკოპოლა უფრო რომელიმე ქალაქი უნდა იყოს და არა გვარი, მაგრამ მიუხედავად ამისა, ის მაინც გვარია და არა ქალაქი, ვინაიდან არც ერთ ქარტაზედ არაა აღნიშნული. დღეს ახეკოპოლი მოდაშია, მასზედ ყველა ლაპარაკობს, თითქმის ვიქტორ პეტიპაც კი დაჩრდილა, მაგრამ მისი ვინაობა ფართე საზოგადოებისათვის მაინც უცნობია. ამიტომ საჭიროდ ვსცანით მივაწოდოთ ქართველ საზოგადოებას ზოგიერთი ცნობები ამხ. ახეკოპოლის შესახებ. ამას იმიტომ არ ვშვრებით, რა თქმა უნდა, რომ მასაც იუბილე გადაუხადონ ტფილისში. არა, ჩვენ ყოველივე ანდერების წინააღმდეგნი ვართ. მართალიც და ყველას იმიტომ ხომ არ შეუსრულდება 40 წელი, 50 წლის იუბილე გადაიხადოს!

ამხ. ახეკოპოლი ამ ერთი წლის წინად იპოვეს ბოლშევიკებმა მოსკოვის მიყრუებულ ქუჩაზე ძონძებში გახვეული. მპოვნელებმა ის ახალდაბადებულად ჩასთვალეს და ისე შეიცოდეს, რომ უნდოდათ მოეკლათ, მაგრამ ლენინმა არ დაანება. წაიყვანა ბავშვი სახლში, ძუძუ აწოვა და კიდეც აშვილებინა რუსეთის კომპარტიას.

მართალია რუსეთის ისტორია ბოლშევიკებმა ზღაპრად გადააქციეს: რომელსაც ოდესმე მოჰყვებიან ჩვენ შვილიშვილებს,—თუ ჩვენი შვილები ჩვენთან ერთად სიმშილით არ დაიხოცა წერულს,—მაგრამ ამხ. ახეკოპოლი მაინც ისე იზრდებოდა, როგორც ნამდვილ ზღაპარში: საათობით და არა წლობით.

ჯერ ნახევარი წლის არც კი იქნებოდა, რომ 15 წლისას ჰგავდა და მოითხოვა, მოენათლათ ნამდვილი ქრისტიანული წესით. ბოლშევიკებმა უარი ვერ გაუბედეს, დაარღვიეს პარტიული დისციპლინა და გაუმართეს დიდებული ნათლობა. მოწვეულ იყო მთელი რუსეთის კომუნისტები. ყველა გაკვირვებული დარჩა ბავშვის ყოფაქცევით. ის არაფრად არ აგდებდა ბოლშევიკებს. თავი ისე ეჭირა, თითქოს მართლა მათი კანონიერი შვილი და მემკვიდრე იყოს და არა ნაშვილები. რაღა უნდა ექნათ? გადასწყვიტეს: ჯერ ბავშვია, უგუნურია და ეპატიება თავხედობაო. მონათლეს და უწოდეს სახეკოპოლი. ეს მოფერებითი სახელია. ნამდვილი ნათლის სახელი და სრული ტიტული კი გახლავთ „ხალხი ეკონომიური პოლიტიკა".

გავიდა კიდევ ნახევარ წელი და ამხ. ახეკოპოლი სავსებით დავაჟკაცდა. ეხლა უკვე აშკარად მოითხოვეს, აღიარებულ იქნას ბოლშევიკების მემკვიდრედ და რუსეთის ტახტის ერთად-ერთ პრეტენდენტად. ამბობენ ვისაც ამხ. ახეკოპოლი უნახავს, მას არ გაუკვირდება მისი ასეთი მოთხოვნილებაო.

მეცნიერებაშიაც თურმე დიდად განსწავლულია ამხ. ახეკოპოლი. განსაკუთრებით ფილოლოგიაში, ასე, მაგალითად, მისი უკანასკნელი გამოკვლევით, „კომუნიზმი" რუსებს დაუმახინჯებია, თორემ „კომერცია" უნდა იწერებოდეს. „დამოუკიდებლობაც" თურმე წარმოსდგება „დამოკიდებულებისაგან" და საჭიროა დავუბრუნდეთ პირველ ფორმას. აგრეთვე „ჩეკა" ყოფილა სომხური სიტყვა და არა რუსული. ქართულად იქნება „არა კი", ანუ, იყო და არა იყო რა". ასეთი სახელი უწოდეს ამ დაწესებულებას დაშნაკელებმა, ვინაიდან ვინც ჩეკაში მოხვდება, გინდამც არ ყოფილიყოს, მისას ვერაფერს გაიგებ.

ეკონომიკაშიაც ამხ. ახეკოპოლი სრულიად დამოუკიდებელი და ორიგინალი მოაზროვნეა. წინააღმდეგ მარქსისტებისა, მან დაამტკიცა, რომ რუსეთის აღდგენისათვის სრულიად გამოუსადეგარი ყოფილა კომუნისტობა. თურმე საჭიროა სულ უბრალო რამ: ვაჭრობა. ვაი, უბედურობას და უმეცრებას, რომ ეს ამდენ ხანს არ ვიცოდით, თორემ რამდენ მსხვერპლს ასცდებოდა საწყალი რუსეთი!

რუსეთის კომპარტიის XI ყრილობაზედ ამხ. ახეკოპოლს წარუდგენია ახალი პროექტი: მოხდეს ახალი „ჩისტკა" და პარტიიდან გაირიცხოს, ვინც ვაჭრობა არ იცის. კომპარტია გადაკეთდეს სავაჭრო „კომპანიად" და შემოსავალ იქნეს სტაჟის მიხედვით დივიდენდის ხარისხები. ლენინს ეძლევა პირველი დივიდენდის ხარისხი. ყრილობის დადგენილება ამ საკითხის შესახებ ჯერ არ არის გამოქვეყნებული.

ჩამომავლობით ამხ. ახეკოპოლი არ უნდა იყოს ჭეშმარიტი რუსი. ამბობენ მას დიდი ნათესაობა აქვს ევროპის ბურჟუაზიასთანო.

პოლიტიკურად ის არაა პარტიული, თანამგრძნობია.,. მაგრამ ვისი,—ჯერ არ ამხელს.

ტინტილა.

* * *

აბა ჩქარა, ჩემო ჩქარა,
საქმეს დროზედ უნდა შველა!
წინ წავიდეთ გვეგონა,—
უკან ვიხევთ ნელა-ნელა.

კირილე.

### სხვა და სხვა თვალსაზრისი.

ქალი. ამხანაგო, აწი დროა ჯვარი დავიწეროთ.

ვაჟი. მე კი ვფიქრობ აწი საჭიროც აღარაა ჯვარის დაწერა.

—

### გონიერი მოსაზრება.

— გადავსწყვიტე, არ გავთხოვდე.
— რატომ?
— იმიტომ, რომ ერთის გაუბედურებას სჯობია ბევრის გაბედნიერება.

—

### გაზაფხული.

გაზაფხულდა. საქონელით
თავს იწონებს მაღაზია.
ვაჭარს მუშტრის მოლოდინში
ეზზით პირი დაუღია.

კართნა.

### სკოლაში.

მასწავლებელი. ღარიბაძე! თუ ხვალისთვისაც გაკვეთილები არ დაიმზადე,—იცოდე, უსადილოდ დაგტოვებ!

მოწაფე. ეს ბურჟუაზიული დროის სასჯელია, ამხანაგო მასწავლებელო! ისედაც უთქვენოდაც მთელი დღე უსადილონი ვართ.

—

### სიბრძნის სალაროდან.

ცალიერი ჯიბე უფრო გვაწუხებს, ვინემ ცალიერი თავი.

—

ჭკვიანი და სულელი ერთმანეთის გასართობად არიან გაჩენილნი.

—

ყველა ქალების შეყვარება იმდენად სახიფათო არაა, როგორც ერთისა.

—

### ცოლი, ქმარი და საათი.

დრამა 2 მოქ.
(თარგმანი).
მომქმედნი პირნი:

1. ქმარი.
2. ცოლი.
3. საათი.

მოქმედება I.

ღამეა. საწოლი ოთახი, ბნელა. კარები გაიღება და შემოდის ქმარი. მხიარულ გუნებაზეა, ქანაობს. ცდილობს თითის წვერებზედ იაროს, მაგრამ მაინც აბრახუნებს.

ცოლი. კოტე, შენა ხარ?

ქმარი. მე ვარ სულიკო... მე...

ცოლი. ახ, როგორც იქნა მოხვე... მე კი ძლიერ ცუდად ვარ... არ შემ... ძლია... რა დროა?

ქმარი. თერთმეტია, სულიკო, თე... თმეტი...

ცოლი. რა ავად ვარ...

ქმარი. რა გტკივა, ჩემო კარგო? ვიქცევი ექიმთან...

ცოლი. ოხ, შაკიკი, ნერვები... თავი!.. ოოოხ... ნუ აბრახუნებ [illegible] ხებს

ქმარი. მე არ ვაბრახუნებ... მე...

ცოლი. ოხ, თავი. საფეთქლებს უცემს! ეს წყეული საათი სასადილო... კედელზედ შემშლის მაგის ტიკ-ტიკ... წადი ერთი, გააჩერე ღვთის გულ... თვის.

ქმარი. (გადის და ისევ მალე ბრ... დება) გავაჩერე, სულიკო... ეშმაკმა... დროს მაგის თავი.

...რჩილი პარიზში დარჩა, რადგან ავადმყოფობის მიზეზით მგზავრობა აღარ ...ძლო. საშიშო კი სხვაფრივ მაინც და ...ნც არ იყო მისი წამოსვლა, რადგან ...ციალისტურად ცნობილი არ იყო, როგორც ემიგრანტი. თანაც საშუალება ... ჰქონდა პარიზში შეჩვენახნა. გუ... კი საშინლად მოუწევდა სამშობლო...ენ.

...ნაფხულის გასულს არჩილიც გაუდგა ...ების გზას. ჩამოსვლისათანავე ის ...აწინავეს ბათომის ახლო მახინჯაურის ...თ-ერთ აგარაკში. შემოდგომის დამ...ას მე და ალ. ჯაბადარს შემთხვევა ...ქონდა გვენახა ავადმყოფი. გამოუწე...ბელს სიცხეს აძლევდა, ძალზე ახვე...ბდა, მადა ჭამისა ნაკლებად ჰქონდა, ...ინილამაც ველარა დაჩიბოდა. უვლი... მისი განუყრელი და ერთ გამოუთ...ული ამხანაგი ბიძაშვილი ელენე ...რჯაძისა. ამასა სჩიოდა განსვენებუ... —ავადმყოფობისა და თვით სიკვ...ლისა სრულებით არ მეშინიან. მერე ...ვდილი ის არის, რომ როცა გარშე... სიცოცხლე სდუღს, ჩვენს ქვეყანას ...ანი დღე უთენდება და თან სჭირია ...ხი, მუშა, მომქმედი ხალხი, მე-კი ...ულებული ვარ ლოგინში ვიწვე და ...რიდან გულხელ-დაკრეფილი უნდა ...ვსცქეროდე ქვეყანასაო..

...ამას შემდეგ არჩილი მოკეთებულა, ...ოცესი შეჩერებია და მორჩენის გზა... დამდგარა. იწყება მისი ნაყოფიერი ... სისტემატიური მუშაობა „ცნობის ...ურცელში", სადაც დიდი ბრძოლა და ...ილის ენერგიის ხარჯვა სჭირდება, რომ ...ენის ესდეკებისათვის დაემტკიცებინა ...ანბანო ჭეშმარიტება—საქართველო...თვის ავტონომიის საჭიროებისა.

1911 წელს ავადმყოფობა ისევ უხსე...ბს და ბათომში მიჰყავსთ საექიმოდ. 1913 წელს, უკვე 7 წლის დაშორე...ულს, ბრიუსელში მომივიდა მის სიკვდი...ამდე ორის თვის წინად დაწერილი ... უკანასკნელი წერილი, რომელშიაც ...წარედ უჩიოდა ავადმყოფობას, აშკა...ად ჰგრძნობდა სიკვდილის მოახლოვე...ას. ის მენანება, მწერდა, რომ ეს ...ოხრებული სიკვდილი მომიახლოვდა, ...ალზე მომიახლოვდა და კარებზე მიკა...უნებს კიდეცაო. მაინც მუშაობას თავს ...რ ვანებებ (მაშინ დიმიტრი ყიფიანის ...ხოვრებას იკვლევდა), მაგრამ მადლი ... არა აქვს ასეთს მუშაობასაო...

იმავე წლის მარტის 23-ს განუტევა ...ოდეც სული ამ სულიერად და ხორცი...ლად ლამაზმა არსებამ. მოჰკვდა ისე, ...ომ ვერ მოასწრო ენახა ავტონომია ...თვის სატრფიალო სამშობლოსი და— ...უფრო მეტიცა —, რის ოცნებასაც კი ...ერ წარმოიდგენდა,—ენახა ჩრდილოეთ...ამოშორებული, სრულიად განთავისუფ...ლებული და დამოუკიდებელი საქართველო...

თ ხახოკია.

ცოლი. დაწექი ჩქარა, დაიძინე!..

ქმარი. (გახარებული, რომ მეტი არაფერი მოხდა, დაიძინებს, როგორც მკვდარი),

(ფარდა).

მოქმედება II.

(დილაა.—სუფრაზედ ჩაი და ყავა. ცოლი თავშეკავებული სიბრაზით გაფითრებულია და მწვანე ფერი გადაჰკრავს. ქმარი გამოდის გაბრწყინებული)

ქმარი. დილამშვიდობისა ჩემო სულიკო, ჩემო ანგელოზო.

ცოლი. მე თქვენი არც სულიკო ვარ და არც ანგელოზი...

ქმარი. როგორ, სულიკო, რაშია საქმე?

ცოლი. თქვენ საძაგელი ადამიანი ხართ, ავარა! თქვენ... თქვენ... რა დროს დაბრუნდით წუხელ სახლში?..

ქმარი. თერთმეტ საათზედ, სულიკო. შენ შაკი...

ცოლი. ციც! თერთმეტზედ! გაისარჯეთ ერთი და შეხედეთ ამ საათს, როდის გააჩერეთ თქვენ ის?

ქმარი. (შეხედავს კედლის საათს. ისრები გაჩერებულია 3 ს. და 45 წუთზედ.)

(ფარდა)

* *
*

გზა სიარულმა დალია,
ვაჟკაცი—ქალის ცქერამა.
სიმონიკა ვერ დალალა
გრძელ წერილების წერამა.

ლია.

## რადიო

პარიზი. როგორც გვატყობინებენ, ტფილისი შიშმა მოიცო რამიშვილ-ჩხეკვიშვილის მოლოდინში. იმდენად დარწმუნებულნი არიან „დემოკრატიული მთავრობის" დაბრუნებაში, რომ ყველა საზოგადო მოღვაწემ 50 წლიანად გამოაცხადა თავი, რათა ერთი იუბილე მაინც მოასწრონ, სანამ კედია და ფაჩულია დაიჭერდნენ და ცოცხლად შესწვავდნენ.

ნიუიორკი. საქართველოში პროფესორები, მასწავლებლები და საზოგადოთ ინტელიგენცია ისე გამდიდრებულა, რომ ალებ მიცემობა დაუწყვიათ. ვაჭრობენ სახარინით და კვეთ ქუჩაში. ამერიკის მასწავლებლები გაფიცვისათვის ემზადებიან. მოითხოვენ საქართველოს მასწავლებლებთან გათანასწორებას.

ტფილისი, აპრილის 7. გუშინ სახელმწიფო კონსერვატორიაში მოხდა დიდი საერთო კრება. მეფედ აირჩიეს ტიციან ტაბიძე და უწოდეს „ტიციანუს პრიმუს ყანწელუს". მთელ საქართველოში დემონსტრაციები იმართება და ხალხი გაიძახის: Avoe Caesar! morituri*) te salutant!

### ყურმოკრული

— ახპერ, კაცო, ეს რა ამბავია? ამოდენა „ნალოგები" განა იქნება? მამაცხონებულები თავის „ხაზინაზვესტვენი რასჩოტებს" ჩადიან და ერთი ჩვენი „რასჩოტიც" გაიგონ და!.

— დაიცა, არუთინ, დაიცა! ნახალკვირევს ჟორდანია მოდისო და ჩვენი საქმეებიც გამოსწორდება. ეცადე ჯერ ნუ გადაიხდი „ნალოგებსა".

ფიშკა

### ქრონიკა

— ახალი ეკონომიური პოლიტიკის გამო წელს პასქის ჭამა არაა აკრძალული აღდგომას.

— თანახმად ამხ. თ. ღლონტის მოხსენებისა ტფილისის აღმასკომმა დაადგინა: დაწესდეს გადასახადი იუბილეებზე.

— გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ ტფილისში ბევრი წიგნსაცავ-სამკითხველო ღია არის დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე, რომ შტატების შემცირების გამო უადგილოდ დარჩენილებს საშუალება მიეცეს და ისარგებლოს ჟურნალ-გაზეთებით.

— სტიპენდიანტ სტუდენტებს მთავრობისაგან ყოველთვიურად ურიგდება: ფულად: 000,000 მან., სანოვაგით: 00 ფუთი თეთრი ფქვილი; 00 გირვანქა შაქარი; 00 გირ. კარაქი; 00 გირ. ნავთი და სხ. საწყალმა სტუდენტებმა ძლივს სული მოითქვეს.

— გარდა ამისა სახალხო განათლების კომისარიატს დიდძალი საბანკეტო ფურცლები დაუთესია. ამბობენ საუცხოვო მოსავალია მოსალოდნელიო.

### კოოპერაცია.

— მუშათა კოოპერატივებში მიღებულია დიდძალი პირველსაჭიროების საგნები: სადგისები, თოკი, ჭრაქები ასანთის ქვები, ნემსები, ლამპის შუშები და სხვა. ყოველივე ეს მუშებს დაურიგდება სააღდგომოდ.

— კოოპერატივ „მეურნესთან" გაიხსნა გაუქმებული „სობესის" განყოფილება.

— ყველგან შტატების შემცირების გამო „მეურნის" გამგეობა იწვევს სამსახურში 9 იურისტს და 5 დაბალ მოსამსახურეს.

—

### თეატრი და ხელოვნება

— პარასკევს ხელოვანთა სასახლეში ვინმე ქუთათელაძემ ბევრი ეძია ეროვნული ჰანგები ყანწელთა ლექსებში, მაგრამ ვერ აღმოაჩინა. ამიტომ ს. აბაშელის წინადადებით ზოგიერთი ყანწელი გამორიცხა პროლეტ. მწერალთა ასოციაციიდან.

— მსახიობი კოლა ჩაგუნავა, რომელიც ბათომში იყო წასული საგასტროლოდ, „ჩეკას" დაუტყვევებია და ღვინის სარდაფში დაუმწყვდევია. რამოდენიმე აჭარელ მსახიობს გადაუწყვეტია გაილაშქრონ ბათომზედ და ან გაანთავისუფლონ უდანაშაულოდ დასჯილი ჩაგუნავა, ან მისი ბედი გაიზიარონ.

რედაქტორი ავენა წკაპურტ-ძე.

*) სიმშილისაგან.

# გიორგი დავითაშვილი

(დღევანდელ მისს წარმოდგენისა გამო).

დღეს მსახიობი გიორგი დავითაშვილი მართავს წარმოდგენას თვის სასარგებლოდ.

ვინ არის გიორგი დავითაშვილი?

ვინც არ გაურბის ქართულ თეატრს, მან იცის, რომ გიორგი სასიამოვნო მოვლენაა ჩვენი თეატრის ცხოვრებაში; ვისაც კი უნახავს მისი ლევან ხიმშიაშვილი, ის დარწმუნებულია, რომ გიორგი თვალსაჩინო ძალაა მისუსტებულ ქართულ თეატრისა, ხოლო ვინც ახლო სდგას ჩვენს თეატრთან, იგი სიამოვნებით ადევნებს თვალყურს ამ ახალგაზრდა მსახიობის მიერ უმწიკვლოდ განსახიერებულ ტიპებს და რწმუნდება, რომ გიორგი დავითაშვილი არის მსახიობი ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით, უაღრესად კულტურული, ნიჭიერი, მუშაკი თავდადებული და საუცხოვო ყვავილი, შესამჩნევი ყვავილი ჩვენი თეატრის თაიგულისა.

და იცით კი რა პირობებში მუშაობს იგი?

სცხოვრობს სარდაფში (მიუხედავად ცდის, იგი იქიდან ვერ ამოძვრა), ფანჯრის სამი-მეოთხედი მიწაშია, ერთი-მეოთხედი კი „უნათებს" ოთახს.

კედლებიდან მუდამ წყალი ჟონავს. დარწმუნებული ვარ, ბევრი აკლდამა უფრო მშრალი იქნება, ვიდრე მისი ოთახი, და ეს ცოცხლივ დამარხული კაცი სწუხს. და სწუხს არა იმას, რომ ცუდ ბინაში სცხოვრობს (ამას, როგორც დაუძლეველ დაბრკოლებას, შეურიგდა), არა იმას, რომ ნახევრად მაინც, თუ მეტად არა, მშიერ-მწყურვალია (ამასაც, როგორც აუცილებელ ხვედრს, შეურიგდა), სჩივის მხოლოდ იმას, რომ სათანადოდ ვერ მუშაობს, რომ თავისტკივილები (ნოტიოსა და სიმშილისაგან გამოწვეული) ნებას არ აძლევს მას ინტენსიურ მუშაობისას.

აი, ამნაირ მოღვაწეთა უანგარობამ და სიყვარულმა არ ჩააფერფლინა ჩვენი თეატრის კერა ცხოვრების სიავსავეს!.

დღეს ამ ტიპის მოღვაწე—გიორგი დავითაშვილი—იძულებულია გამართოს წარმოდგენა თვის სასარგებლოდ...

სიტყვა საზოგადოებას ეკუთვნის...

თეატრის მეგობარი.

# გერმანია და რუსეთი

მოსკოვი. 6 აპრილი (რადიო). ჰანნოვერიდან 4 აპრილის თარიღით იტყობინებიან, რომ გერმანია და საბჭოთა რუსეთი გენუაში ერთად გამოვლენ.

სარწმუნო წყაროებიდან გვატყობინებენ რომ რუსეთის გერმანელები შეთანხმდენ გერმანიის მონაწილეობაზე რუსეთის ეკონომიურ ცხოვრების აღდგენის საქმეში იმის შემდეგ, რაც რატენაუმ უკან წაიღო თავისი პროექტი გერმანიის მიერ რუსეთის ექსპლოატაციისა, რამაც მოსკოვის სასტიკი წინააღმდეგობა გამოიწვია. მოკავშირეთა წრეებში, გერმანიაში, დღეს გამოსთქვამენ იმ აზრს, რომ კომისიის გადაწყვეტილებამ ანაზღაურისა და მორატორიუმის შესახებ და აგრეთვე პუანკარეს პოზიციამ გენუის კონფერენციის მიმართ, აიძულა გერმანია შეთანხმებოდა რუსეთს და დაეჩქარა ბოლშევიკებთან ეკონომიური შეთანხმების საკითხის გადაწყვეტა.

ვირტმა და რატენაუმ მიიღეს დღეს ჩიჩერინი, ლიტვინოვი, რაკოვსკი და რადეკი. მიღწეულ იქმნა ძლიერ დიდმნიშვნელოვანი შეთანხმება ორივე სახელმწიფოებში საელჩოების აღდგენის შესახებ. ვირტმა განუცხადა რუსეთის დელეგატებს, რომ რუსეთის ყოფილი ელჩის შენობა ბერლინში გადაეცემა, როგორც სამსახურის ბინა რუსეთის საბჭოთა მისიას და აგრეთვე ისიც, რომ რუსეთ - გერმანიის დიპლომატიური ურთიერთობა ჩადგა ნორმალ კალაპოტში ძლიერ ჩქარა გადაწყდება საკითხი პეტროგრადში გერმანიის საელჩოსა და მოსკოვში გერმანიის წარმომადგენლობის აღდგენის შესახებ.



გიორგი ჭუბაბრია

# გიორგი ჭუბაბრიას ხსოვნას

აპრილის 5-ს შესრულდა ოთხი წელიწადი მას შემდეგ, რაც ზეკარის უღელტეხილზე ოსმალეთის ბრბოებთან ბრძოლის დროს მოჰკლეს ჩვენი ძვირფასი და დაუვიწყარი ამხანაგი გიორგი ჭუბაბრია. გიორგის დავიწყება არ შეუძლია არც ერთს სოციალისტ-ფედერალისტს, რომელ ფრთასაც არ უნდა ეკუთვნოდეს იგი. გიორგი სპეტაკი და ძვირფასი იყო ყველასათვის, მაგრამ იგი უფრო გაიზარდა და ამაღლდა თავისი რაინდული სიკვდილით ჩვენს თვალში. გიორგიმ ხელუხლებელი ძეგლი აგო ყოველი კეთილშობილი მოქალაქის გულში მას შემდეგ, რაც მან ზვარაკად შესწირა თავისი თავი სამშობლოს კეთილ-დღეობას.

ძნელი არის დღეს მოგონება გიორგის განაწამების დაკარგვისა. მაგრამ უფრო ძნელი არის ამოიშალო მეხსიერებიდან ის გართულებული მდგომარეობა, რომელიც შეიქმნა საქართველოს ირგვლივ და რომელმაც იმსხვერპლა მრავალი ახალგაზრდის სიცოცხლე. 1918 წელი ჩვენთვის არის წამებისა და იმავე დროს უმაღლესი სიამოვნების ეპოქა. ამ წელს საქართველომ, ქართველმა ხალხმა აღადგინა თავისი სუვერენული უფლებები. თავისი დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა. მაგრამ ამ აქტმა მრავალი მსხვერპლი მოითხოვა, მრავალი ისტორიული მტერი ამხედრდა მის წინააღმდეგ და მოინდომა მისი ხელახლად განადგურება.

ამხ. გიორგი ერთი იმ ინტელიგენტთაგანი იყო, რომელმაც შეიგნო საქართველოს სერიოზული მდგომარეობა და იარაღით ხელში მედგრად დასდგა ერის სადარაჯოზე. საქ. სოც.-ფედერალისტთა რიგებიდან მრავალი ახალგაზრდა დაეცა ერის უფლებისათვის ბრძოლაში და ბათომის ფორტები, ზეკარის უღელტეხილი, აწყურის მიდამოებში მორწყული არის მათი უმანკო სისხლით. მაგრამ გიორგის სიკვდილი რაღაც საშინელი ფანტასტიურობით არის მოცული. თითქმის წელიწად ნახევარის განმავლობაში არ ვიცოდით მისი ბედის ამბავი.

ბედმა კი მას სამშობლოს სადარაჯოზე მტრის ტყვიით განგმირვა მიუსაჯა და ზეკარის უღელტეხილის ხრამებში მხოლოდ მისი ჩონჩხი და ვიპოვეთ.

ოთხი წლის თავზე ჩვენი პარტია მოწიწებით იგონებს ძვირფას ამხანაგს, ერის სამსხვერპლოზე ზვარაკად შეწირულს გმირს.

ამხანაგი.

# გიორგი ჭუბაბრია

(მოგონება)

გიორგი ჭუბაბრია პირველად ვნახე 1916 წ. როდესაც ქუთაისის ქარ. გიმნაზიაში შესასვლელ გამოცდას ვაბარებდი. მისი სახის მეტყველებამ და მეგობრულმა ურთიერთობამ მალე მტკიცე კავშირი გააბა ჩვენს შორის.

შესაძლებელია თავისუფლად ითქვას, რომ მთელ გიმნაზიის მასწავლებელთა კორპორაციაში ჩვენს განუსაზღვრელ პატივისცემას განვიცდიდით ორი მასწავლებლის მიმართ. პირველი იყო გ. ჭუბაბრია, ხოლო მეორე მისი განუყრელი მეგობარი ტ. ხ—ძე.

ამ ორ ახალგაზრდა მასწავლებელთა მიმართ განსაკუთრებით [illegible] როგორც სპეციალ. საგნებში [illegible]ნეობა, ისე მეგობრული [illegible] სუფთალ დროს.

1917 წ. რევოლუციამ კიდევ უფრო მჭიდროდ დაგვაკავშირა ჩვენს საყვარელ მასწავლებელთან. გიორგის ვხედავდით არა მარტო მასწავლებლის მაგიდასთან, არამედ იგი ვიხილეთ ორატორის ტრიბუნიდან. ლექტორის კათედრიდან და ბოლოს კი ვიხილეთ გიორგი ჯარისკაცის ტანსაცმელში, რომელიც სამშობლოს სადარაჯოსაკენ მიეშურებოდა ჩვენთან, მის მოწაფეებთან ერთად.

მაგრამ ბედმა ცუდად გაულიმა სახელოვან მამულიშვილსა და მებრძოლ რევოლუციონერს. კალამს შეჩვეული ხელი ისევე მარჯვედ ვერ შეეგუებოდა ხმალს და კიდეც მოხდა თავზარ-დამცემი ხმის მოსმენა: გიორგი ბრძოლის დროს დაიკარგაო..

მაგონდება ქუთაისი იმ დღეს. მაგონდება ჩვენს პარტიულ კლუბში მტირალი საზოგადოება, მაგონდება გიორგის დაკარგვის თავზარ-დამცემი ამბავი რომელმაც ააფორიაქა მთელი ქუთაისის სულიერი ცხოვრება.

გადიოდა ხანი...

ხმები ისმოდა გიორგი ცოცხალიაო. მოველოდით მას. გველანდებოდა და მისი აჩრდილი. ტკბილი იმედებით ვსულდგმულობდით, მაგრამ თურმე ამავე დროს უმადლო მამულიშვილი დაცემული სამშობლოს სადარაჯოზე ნელა დნებოდა ზეკარის უღელტეხილის თოვლიან მიდამოებში...

გიორგის დასაფლავება არ გამიგია. სოფლიდან ჩამოსულს ამხანაგებმა დამახვედრა ამბავი გიორგის გვამი იპოვნეს და გუშინ დავასაფლავეთო.

უკანასკნელი იმედიც წამერთო.

საღამოს ჟამს, მაშინვე, როდესაც ქუთაისში ჩამოვედი გავეშურე გიორგის საფლავზე და ვიხილე იგი...

სიცოცხლით სავსე გმირისა და ძვირფასი მასწავლებლის ცხედარს დიდრონი ქვები და შავი მიწა ფარავდა

უსიტყვოდ ვესაუბრობდი საყვარელ მასწავლებელთან. პირველად განვიცადე და ვიგრძენი დაკარგვა ძვირფასი ადამიანის,

ხშირად ვესტუმრებოდი გიორგის საფლავს და ვხედავდი, რომ იგი მწვანით იმოსებოდა. ჰქრებოდა, ჰკნებოდა უკანასკნელად მიძღვნილი ვარდები. დღესაც მისი საფლავი დაფარულია მწვანით და გმირთა პანთეონში განისვენებს ჩვენი გიორგი.

ჩვენთვის კი გიორგის სახელი—წმინდაა, მისი გმირული დაცემა—გაკვეთილია, უკანასკნელი გაკვეთილი მისი მოწაფეების მიმართ.

გიორგის სახელს ვერ დავივიწყებთ და მისი წმინდა საფლავი ემბლემა იქნება ჩვენი გზის მაჩვენებელი.

მტერსა და მოყვარებს დავანახვებთ რომ გიორგის სამშობლოში თარეში არც ისე ადვილია, მანამ მაინც, სანამ ჯერ ჩვენს გულ-მკერდზე არ გადაივლიან.

გიორგის მოწაფე.

# პარტიაში

დღეს საღამოს 5 საათზე მთავარ კლუბში (ლორის-მელიქოვის ქუჩა № 1) დანიშნულია მემარცხენე სოც.-ფედ. პარტიის ახალგაზრდათა საერთო კრება. პარტიულ ამხანაგების დასწრება სავალდებულოა.

ახალგაზრდათა კავშირი.

დღეს, აპრილის 9-ს დილის 10 საათზე გაზ. „ტრიბუნის" რედაქციაში დანიშნული არის მთავარი კომიტეტის სხდომა. ამხანაგებს ევალებათ დასწრება.

# გენუას კონფერენციის გარშემო

**ლოიდ ჯორჯისათვის ნდობის გამოცხადება**

ნაუენი. 5 აპრ. თემთა პალატამ მოისმინა რა ლოიდ ჯორჯის განცხადება, ნდობა გამოუცხადა მას 373 ხმის უმრავლესობით, წინააღმდეგ 94,—რომელიც ეკუთვნოდა მუშათა ფრაქციას, დამოუკიდებელ ლიბერალებს და ზოგიერთ უნიონისტებს.

**საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში.**

ბორდო. 5 აპრილი, პუანკარემ, დეპუტატთა პალატაში ნათქვამ თავის სიტყვაში გენუას კონფერენციის შესახებ განაცხადა შემდეგი: საფრანგეთს სურს წარსდგეს გენუაში არა როგორც საცოდავი მოწმე, არამედ როგორც სულგრძელი გამარჯვებული. ევროპის აღორძინების უმთავრეს პირობათ უნდა ჩაითვალოს საფრანგეთის აოხრებულ ოლქების აღდგენა. საფრანგეთის უფლებები უზრუნველყოფილი უნდა იქნან. და

თუ უკუელიეს ამის მივაღწიეთ, მაშინ საფრანგეთი გულწრფელ დახმარებას დაუწევს ევროპას აღორძინების საქმეში.

**პუანკარესათვის ნდობის გამოცხადება.**

**რომი.** 5 აპრილი, დეპუტატთა პალატამ პუანკარეს განცხადების შემდეგ 478 ხმის უმრავლესობით, წინააღმდეგ 73 ხმისა, მოიწონა გადასვლის ფორმულა, რომლითაც მთავრობას ევალება დაიცვას გენუას კონფერენციაზე საფრანგეთის უფლებები და ინტერესები.

# უცხოეთი

**სკანდინაველი მუშები.**

**მოსკოვი.** აპრილის 5 ს კოპენჰაგენიდან მარტის 31-ის თარიღით იტყობინებიან: მეწარმეებელთა მიერ გამოცხადებული ლოკაუტი, მოლაპარაკების უშედეგობის გამო, ვრცელდება კიდევ 50.000 მუშებზე. საერთო კრებებზე კოპენჰაგენში ასოთ-ამწყობებმა და დურგლებმა მოითხოვეს საერთო გაფიცვის გამოცხადება.

— ქრისტიანიიდან აპრილის თარიღით იტყობინებიან: დამქირავებელთა მიერ გამოცხადებული ხელფასის შემცირების შესახებ, რკინის გზის მუშებმა და მუშებმა... (დ. მახარაძისა), მრეწველობის, ნორვეგიის პროფესიონალურ კავშირებს უპასუხა—განკარგულებით მუშებისადმი: დასტოვონ ადგილები. კონსერვატორულმა მუნიციპალურმა საბჭომ ქრისტიანიაში გამოიტანა დადგენილება: შეუმცირდეს ხელფასი ქალაქის მუშა-მოსამსახურეებს.

**ორიენტაცია—მოსკოვზე.**

**მოსკოვი.** აპრილის 5-ს ლატვიის დამფუძნებელ კრების სხდომაზე ვარშავის ხელშეკრულების რატიფიკაცია მოახდინეს. მეეროვიცის პოლიტიკის კრიტიკა გადაკვეთეს სოციალ-დემოკრატების და მუშათა პარტიის წარმომადგენლებმა, რომელთაც აღნიშნეს, რომ ლატვიის მეურნეობის ინტერესები მოითხოვენ ვარშავის ორიენტაციას კი არა, არამედ მოსკოვისას. პოლონეთის მტაცებელ პოლიტიკის ორიენტაცია ლატვიისთვის კარგს არას მოასწავებს.

# სამხატვრო ქრონიკა

— **„არსენ ჯორჯიაშვილი:** არსენ ჯორჯიაშვილი"-ს სურათმა ეკრანზე დიდ სარემარკო ცეფრს მიაღწია: „არსენ ჯორჯიაშვილი" სულ დადგმული იყო—189 სეანსი. სეანსის უმეტესი რიცხვი იყო ტფილისში სადაც ნაჩვენები სეანსი აწევს—140 რიცხვს, შემდეგ ბათომში—30 სეანსი, ქუთაისში—15. ფოთში 3, და სამტრედიაში—1.

— **ქართული დრამა.** ქართულ დრამის სეზონი რუსთაველის თეატრში გაგრძელდება მაისის დამდეგამდის.

— **გ. დავითაშვილის საღამო.** დღეს რუსთაველის თეატრში ნიჭიერ ქართველ მსახიობ გ. დავითაშვილის საღამოა.

წარმოდგენილი იქნება სარდუს ცნობილი პიესა „მადამ სანჟე".

— აპრილის 10, 1-ლ სახელმწიფო კონსერვატორიაში დარიბ და ნიჭიერ მოწაფეთა სასარგებლოდ იმართება საღამო დეკლამაციის, მუსიკის და პიეტრის კეთილნებითი სურვილით მონაწილეობენ. ანდრონიკოვის, ბოკოვისა, ვასაძე, ვიგოროდსკი, დროზდოვ-პოლიაევი, ერმოლოვა, ზ. ლიპსკი, პეტიპა, პანინისა, სტაროსტინისა, საბინინი, ისეცკი, გრიკუროვისა, ფლოროვი, თარხნიშვილისა, ქარუმიძე და სხვ. კონსერვატორიის და სახ. თეატრის ძალები. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ბილეთები კონსერვატორიაში. გამგე: მოწაფეთა კომიტეტი.

# ახალი ამბები

— **რეფერატი ინსტიტუტში.** კვირას აპრილის 9, სად. 5 საათზე სპედაგოგიო ინსტიტუტის შენობაში ამხ. გ. თავზარაშვილი წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „საბავშვო პრობლემა". დასწრება შეუძლია ყველას. დასასრულ კამათი.

— **მხატვარი მოსე თოიძე** შეუდგა ჩვენ მოღვაწეთა პორტრეტების ხატვას: ჯერჯერობით დახატული აქვს შემდეგი მწერლები: ვასილ ბარნოვი, ზაქარია ჭიჭინაძე და ი. გრიშაშვილი.

— **ნიკო ბარათაშვილის თხზულებათა აკადემიური გამოცემა.** გამოვიდა ნ. ბარათაშვილის წიგნი. (ს. ფირცხალავას რედაქციით); ხელის მომწერლები, რომელნიც წარმოადგენენ ბარათს, ფასდამატებით მიიღებენ ქ. შ. წ. კ. წიგნის მაღაზიაში (ორიანტის ქვეშ) ვანო ჯავახიშვილთან.

— **ქართული ინტიმიური საღამოები** შესდგა ახალგაზრდა ლიტერატორთა წრე, რომლის ინიციატორობითაც კონსერვატორიის დარბაზში გაიმართება ხოლმე ინტიმიური საღამოები. ძველთა და ახალ მწერლების ნაწარმოებთაგან. ძველ მწერალთაგან საღამოები ეძღვნება: ილიას, აკაკის, ბარათაშვილს. გურამიშვილს, ბესიკს, საიათნოვას და სხ. ახლებში: ი. გრიშაშვილს, კ. მაყაშვილს, ა. შანშიაშვილს, გალ. ტაბიძეს, ს. აბაშელს და სხვ, ჩარჩეული იქნება პოეტის შემეცნება, სტილი, ფორმა და წაკითხული—პოეტის ნაწერები.

# ამსტერდამის პროფინტერნის დელეგაცია საქართველოში

საქართველოში ჩამოვიდა ამსტერდამის პროფინტერნის ბიუროს მიერ გამოგზავნილი დელეგაცია და თან ჩამოიტანა მედიკამენტები საქართველოს მუშათა კლასისათვის.

დელეგაციაში შედის: „ვენის მუშათა გაზეთის" რედაქტორი ამხ. იულიუს ბრაუნტალი და ვლადიმერ ვანდარელი (ბერლინიდან) მისამე წევრი გზად გახდარა და გზაში დარჩენილა.

გუშინ „ტრიბუნის" რედაქცია ინახულეს ხსენებულმა პირებმა და გადმოგვცეს შემდეგი ცნობები:

როგორც კი გაისმა რუსეთიდან მოწოდება დაშეუღელთა დასახმარებლად, ამსტერდამის პროფინტერნმა მაშინვე მოუწოდა მთელი ქვეყნის მუშათა კლასს დახმარებოდა დამშეულ რუსეთს.

ჰოლანდიის მუშებმა გადასდეს ერთი დღის ხელფასი. აგრეთვე მთელ გერმანიაშიაც შეაგროვეს შემოწირულება.

მთელი შეკრებილ თანხას ბიურომ თავვი მოუყარა ამსტერდამში და იქიდან ანაწილებს. პროფკავშირთა ამსტერდამის ინტერნაციონალის ბიუროს მიერ არჩეულ დელეგაცია გაემგზავრა რუსეთს და მოსკოვით გადავიდა ბაშკირეთში, სადაც ის ჰკვებავს და უვლის 40.000 დამშეულს. გაიგზავნა მედიკამენტების ტრანსპორტი საზოგადოთ საბჭოთა რუსეთისათვის. დანიშნულია ერთი გემი, რომელიც მუდმივ დადის ამსტერდამ-რუსეთს შუა.

ამავე ბიურომ გადასწყვიტა აღმოუჩინოს დახმარება საქართველოსაც დამოუკიდებლად და გამოგზავნა ეს დელეგაცია მედიკამენტების ტრანსპორტით. დელეგაციას დავალებული აქვს გაეცნოს საქ. მუშათა კლასის მდგომარეობას და მოახსენოს პროფკავშირთა ამსტერდამის ინტერნაციონალს.

# ვალერი ხარაძე

მოულოდნელმა უბედურებამ სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ჯგუფს გამოაკლო საუკეთესო ამხანაგი სტუდენტი ქალი ვალერი ხარაძე.

მართალია ვალერი დიდათ ცნობილი არ იყო, მაგრამ ვინც იცნობდა დაახლოებით მას თამამად შეუძლია სთქვას, რომ ვალერი მართლაც ისეთი პიროვნება იყო, რომელიც იძლეოდა გარანტიას, რომ იგი იქნებოდა ნამდვილი ქართველი ქალი. დიდი ხანი არ არის რაც ვალერი გავიცანი, მაგრამ მისმა ჰკვიანმა სახემ დამარწმუნა მასში, რაც მის შესახებ არა ერთხელ და ორხელ გადმოუციათ ქუთათელ ამხანაგებს.

ვინც იცნობს ჩვენი პარტიის მუშაობას ქუთაისში მას ეცოდინება თუ ვინ იყო ვალერი.

იგი ყოველთვის მზად იყო, რომ აქტიური მონაწილეობა მიეღო იმ დიდ მიზნების განხორციელებისათვის, რომელიც სოციალიზმ-ფედერალიზმს ისახავს.

მაგრამ მოულოდნელმა უბედურებამ ორი დღის განმავლობაში ცეცხლიანში აწამა იგი, რის შემდეგ სრულიად მოშორდა ამ ლუხჭირს წუთისოფელს.

განისვენე უდროოდ სიცოცხლეს მოსწრაფებული ამხანაგო ვალერი, გწამდეს, რომ ჩვენ შენი ამხანაგების ხსოვნაში არ გაქრება შენი სახელი.

გრ-ფდ.

# დრამატიული სტუდია

განათლების კომისარის ნებართვით, ქ. ტფილისში დაარსდა აკაკი ფალავას ხელმძღვანელობით დრამატიული სტუდია, სადაც თავი მოიყარა ორმოცდა ათამდე ახალგაზრდობამ. სტუდიის პროგრამაში შედის:

1) მოკლე ანატომია და ფიზიოლოგია, რათა მომავალმა მსახიობმა იცოდეს აგებულება და მთავარი ფუნქციები ადამიანის სხეულისა, 2) ხმის დაყენება, 3) მხატვრული მეტყველება (დიქცია და დეკლამაცია), 4) პლასტიკა და ცეკვა, 5) გიმნასტიკა, 6) ფარიკაობა, 7) ფსიქოლოგია სასცენო თეორიასა და შემოქმედებასთან დაკავშირებული, 8) სასცენო ელემენტების დამუშავება, 9) იმპროვიზაცია და მიმოდრამა, 10) თეატრი, როგორც სასცენო შემოქმედების ისტორია, 11) გრიმი, 12) ტანსამოსის ისტორია, 13) ლიტერატურისა და დრამის ისტორია, 14) ხელოვნებათა ისტორია, 15) ესთეტიკა, 16) სიმღერა, 17) ნაწყვეტების, სცენებისა და პიესების დამზადება..

სტუდიამ უკვე ერთი თვეა, რაც მუშაობა დაიწყო. მეცადინეობა სწარმოებს საღამოობით სახელმწიფო დრამის თეატრის შენობაში, სადაც საკუთარი ბინა აქვს სტუდიას. ჯერჯერობით ზემორე დასახელებულ საგნებიდან ისწავლება: ხმის დაყენება, მხატვრული მეტყველება, პლასტიკა, ფსიქოლოგია, სასცენო თეორიასა და პრაქტიკასთან დაკავშირებული, სასცენო ელემენტების დამუშავება, იმპროვიზაცია და მიმოდრამა, ნაწყვეტების და პიესების დამზადება. თანდათანობით შემოღებული იქნება ყველა საგანთა სწავლება, რაიც დამოკიდებულია სტუდიის მატერიალურ საშუალებებზე, რადგანაც, ის მცირე სწავლის ფული (ასი ათასი მან. თვეში), რასაც სტუდიელები იხდიან ყველა ხარჯებს, რასაკვირველია, ვერ დაფარავს, სტუდიასთან არსებობს ცალკე სარეპეტიციო კლასი, რომელშიაც ათამდე ახალგაზრდა მუშაობს. სტუდიას განაგებს და ხელმძღვანელობს თითონ სტუდიელთაგან არჩეული საბჭოს დახმარებით—რეჟისორი აკაკი ფალავა. მასწავლებლად მოწვეულნი არიან და იქნებიან საუკეთესო ძალები ჩვენი სცენისა და ქვეყნისა. სტუდიაში შეიძლება ჩაწერა რომელიმე ერთ ერთ კურსზედაც.

# თეატრი და ხელოვნება

**ქართული ბალეტი.**
**ოპერის თეატრი**
**აპრილის 6,**

არ ვიცი რად დაერქვა ამ საღამოს ბალეტი.

ქართული ბალეტი რომ რიგიანად მოეწყოს, ამას, შემოქმედების გახდა, დიდი დრო და მუშაობა სჭირია.

ამ საღამოს კი იყო მხოლოდ რამდენიმე კარგი ცეკვა. იყო კარგი ცეკვა, ლეკური, შამილი, დავლური და სხვ.

„გოგიას სიზმარი"—გ. ლექსი—მესხიშვილისა, კარგი საბალეტო სიუჟეტია: მხოლოდ არა სცენიურად განსახიერებულია:

„გოგიას სიზმარი" არ არის მთლიანი. ყოველ სურათზე ფარდა უშინაარსოდ ეშვებოდა ხოლმე. სუსტი იყო აგრეთვე ცოცხალი სურათიც. ცოცხალი სურათი თუ კარგად არ არის დადგმული—ყოველივე შთაბეჭდილება ფუჭდება, ვინაიდან საანტრაქტო მოლოდინი დიდია და სურათი კი წუთიერი.

მაგრამ არ შეიძლება სულ უარყოფით მოვეპყრათ ქართული ბალეტის იდეას.

გ. მესხიშვილი და ქეთო ანდრონიკაშვილი გამოცდილი მოცეკვავენი არიან და თუ სერიოზულად დააყენებენ სტუდიას უეჭველად მომავალი ექნებათ.

დუდუკს ერთხელ რომ მოისმენ სასიამოვნოა, მაგრამ მთელი ბალეტი დუდუკის ჰანგებით ამეტყველებული, დამეთანხმეთ, რომ ბოლოს და ბოლოს მოსაბეზრებელია და სამართლიანად ესთეტიურ აღშფოთებას იწვევდა ჩვენში.

ხსენებულ ბალეტში მუსიკა ნაკლებია, მუნჯური სცენები კი—ბევრი.

მუსიკალური ვარიაციები უეჭველად უნდა ჩაიმატოს შემდეგისთვის.

ლეკური კარგია, მაგრამ მთელი საღამო ლეკურით სპეკულიაცია კი—არ არის კარგი.

მოლეკურეთა შესახებ უნდა ითქვას, რომ ყველა ორიოდეს გამოკლებით სუსტობდა: არც მიმიკა, არც მოქნილობა და არც ტანთსაცმელი არავის არ ჰქონდა შესაფერი.

თინა გეთაშვილის ქალი უცილობლად ძვირფასი ნიჭია და მომავალიც აქვს თუ კარგი მასწავლებელი ეყოლა, მაგრამ შესაფერ ტანსაცმელის უქონლობამ ამ საღამოს შთაბეჭდილება გაანახევრა.

ერთად ერთი ნინო წერეთლის ქალი იყო, რომელსაც უხდებოდა ტანსაცმელი და ელასტიურობაც საკმაოდ ჰქონდა. მაგრამ ლეკურს მოკრძალება არაშვენის: ლეკურის ნამდვილი სითამამე უეჭველად დამახასიათებელი თვისებაა ლეკურის. ამ ნაკლს ნინო წერეთელი იმედია, შემდეგში გამოასწორებს, იგი ქართველთა სემიონოვა იქნება უეჭველად თუ რასაკვირველია, ჯერ იმუშავებს და მერე გვიჩვენებს სცენაზე.

საზოგადოებას ძალიან მოეწონა ბ-ნი ხეთაგური („შამილის ლოცვა") ის მართლაც ამ საღამოს შევარდენი იყო ჰაერში მონავარდე, ყოველი მისი მოხაზვა უნაკლო იყო: ხეთაგური უეჭველად დიდი მსახიობია.

ცალკ ცალკე კარგად იცეკვეს: ჯაფარიძემ, (პირდაპირ შესანიშნავი იყო მისი ბალდადური). გარიყანიძემ, ერისთავმა და ფეშავანდიშვილმა. მაგრამ საერთო შთაბეჭდილება უმწეო იყო.

არა უშავდა რა ქეთო ანდრონიკაშვილის დავლურს.

გლეხური ცეკვა თუ კვლავ ასე ბანალური იქნება, სულ უნდა ამოიშალოს ბალეტიდან.

რეჟისორის ხელი აკლდა ბალეტს. მართალია, მათე იანქოშვილი გრძნობს სცენას, იცის ტექნიკა, მაგრამ მაინც მის გემოვნებას ბევრი მოეთხოვებოდა.

ხალხი აღფრთოვანებული დაესწრო.

იმედია შემდეგში, უფრო კარგ ძალებს შეიძენს ეს სტუდია და უფრო დახვეწილი გვეჩვენება.

ამ საღამოს მარცხი კი რეცენზენტს შეუძლიან იმით მოინელოს, რომ ძველი ქართული ცეკვა ერთხელ კიდევ წარმოგვიდგა თვალწინ:

ეს კი იმას ამტკიცებს, რომ დავიწყებულ ქართულ ცეკვას სერიოზულად მოპყრობა სჭირია.

უჯაველი.

—

**მსახიობ გიორგი**

**დავითაშვილის საღამო.**

გიორგი დავითაშვილი ერთი ნიჭიერი ახალგაზრდა მსახიობთაგანია ჩვენს სცენაზე.

იგი ამ ორი წლის წინად გადმოვიდა რუსული დასიდან ჩვენს სცენაზე და ხელად მიიპყრო ყურადღება თავისი ტემპერამენტით, როლის შეგნებით, ჯენტლემონობით.

გ. დავითაშვილი უცილობლად დიდი ძალაა ჩვენი ღარიბი ხელოვნებისთვის.

გ. დავითაშვილი იმ კულტურულ მსახიობთაგანია რომელიც, როგორც ხელოვანი არასოდეს არ დამარცხებულა. სცენაზე იგი ნაკისრ მოვალეობას მთელი თავის ნერვებით გრძნობს ხოლმე.

საზოგადოებამ იცის ნიჭის დაფასება.

კვირას, 9 აპრილს რუსთაველის თეატრში ამხანაგები დავითაშვილის სასარგებლოდ მართავენ ქართულ წარმოდგენას (სხვათაშორის ამ წარმოდგენით იხურება ზამთრის სეზონი): წარმოდგენილი იქნება: სარდუს პიესა „მადამ სანჟენ". მადამ სანჟენი ჩვენს სცენაზედ ცნობილი პიესაა: ალბად ძველ თეატრის მოყვარულთ ახლაც ახსოვთ კოტე და ეფემია მესხი—პირველი ნაპოლეონის როლში და მეორე მრეცხავი ქალის როლში.

კვირას, ნაპოლეონის როლს შეასრულებს თვით გიორგი დავითაშვილი, ხოლო სანჟენს—ანეტა ქიქოძე.

იმედია ქართველი საზოგადოება, დაესწრება ამ საღამოს: ამ დასწრებით—გამხნევებს ნიჭიერ ახალგაზრდას და აგრეთვე დასტკბება იმ მშვენიერ პიესით, რომელიც კარგა ხანია რაც ქართულ სცენაზე არ დადგმულა.

გ.

# გამგის თვითნებობა

საბინაო სექციის გამგის ფითოევის მოქმედებამ, საერთო საქმის, მისი პირადული შეხედულობის თვალსაზრისით, ყოველნაირს მოლოდინს გადააჭარბა. როგორც ეტყობა მოქალაქე ფითოევს ჰგონებია, რომ რასაც იგი მოიქმედებს, მის ნამოქმედარის ზღუდეებს სხვა ვერავინ ვერ დაარღვევს. მაგრამ მოქალაქე ფითოევი მწარედ მოსტყუვდა და მის ნამოქმედარს, მის „კაპრიზს" უკვე ყურადღება მიაქციეს.

საბინაო სექციის გამგის მოქ. ფითოევის თვითნებობითი მოქმედება და წინდაუხედაობა გამოიხატება შემდეგში: ყოფილი საბინაო სექციის გამგის მ. ტოროშელიძის შევებულებაში წასვლის გამო, მახმადიერად დროებით დანიშნეს მოქ. ფითოევი, შეუდგა რა მოქმედებას, დაკისრებულ მოვალეობის... რამდენიმე დღის შემდეგ, ფითოევმა... ოფიციალურად განაცხადა... რი მოსამსახურეები... მაშ მე ფითოევი... მართლაც და ფეილეტონი... ნაციების შემწეობით ლამობდა დარტყმა მოსამსახურეების დათხოვნას, რასაკვირველია, რომ მის ცდას მოსამსახურეების დათხოვნისას ამბავი შეეძლო სარჩელი, სარჩელი არა საერთო, არამედ პირადული, ვინაიდან საქმის ინტერესები სრულებით იმას არ მოითხოვდა, რასაც შვრება და ჩაიდინა მოქ. ფითოევმა.

როცა ფითოევმა სირცხვილი იგრძნო, რომ მოსამსახურეები დაითხოვნა, კიდევ არ დაწყნარდა და მიმართა სხვა საშვალებას, სახელდობრ—დანიშნა ქალაქის ინსპექციას რევიზია და ამავე რევიზიაში გაუშვა ქალაქის ინსპექციის საჩივართა ბიუროს გამგე ფითოევის საუკეთესო მეგობარი. ამის შემწეობით საბინაო სექციის გამგეს ფითოევს გული უბრუნდა ვარსკვლავი და დაიწყო განმეორებით დაბეჩავებულ მოსამსახურეებზე გაფართოებული თარეში. ხსენებული რევიზია დიდის ყურადღებით შინჯავდა ყოველ ქაღალდის ნაგლეჯს. როცა ფითოევი დარწმუნდა, რომ რევიზია თავდებოდა და ისეთი რამე ვერ აღმოაჩინეს, ერთხელ კიდევ მიმართა უკანასკნელ ღონისძიებას: ერთი კალმის მოსმით დაითხოვა თორმეტი ქართველი და ერთიც მუსულმანი და მისი წადილის განხორციელებას გზა გაუხსნა ქალაქის კომუნალურ განყოფილების გამგის წერილზე თანხმობის ხელის წარწერით, რომ კომუნალურ განყოფილების გამგე თანახმაა დაითხოვოს ცამეტი მოსამსახურე საბინაო სექციიდან.

რევიზია დაიწყო 22 მარტს ამა წელს. მიუხედავად იმისა, რომ რევიზია დღესაც გრძელდება მოქ. ფითოევმა კი მოსამსახურეები დაითხოვა 29 მარტს ამა წელს.

მოქ. ფითოევმა მისი ასეთი მოქმედებით პირველ ყოვლისა არამც თუ მარტო დათხოვნილ მოსამსახურეებში გამოიწვია საშინელი აღშფოთება, არამედ სხვა განყოფილებების მოსამსახურეებშიაც კი. ფითოევმა მისი ამგვარი თვითნებობითი და წინდაუხედავი მოქმედების შემწეობით ფეხქვეშ გასთელა და დასცა მოსამსახურეებში თვით რევიზიის, შრომის კომისარიატის, პროფესიონალურ კავშირის და ადგილობრივ კომიტეტის პრესტიჟი, რომლებმაც უკვე ყურადღება მიაქციეს ფითოევის თავგზიდურ მოქმედებას.

ფითოევმა რევიზიის წმინდა შინაარსი გემოიყენა, როგორც იარაღი მისი „კაპრიზების" განმახორციელებელი, რომელიც უნდა ჩაითვალოს სამწუხარო მოვლენად ჩვენს სოციალისტურს საზოგადოებაში. უფრო სამწუხარო ფითოევის თვითნებობის მოქმედების ეპიზოდად ის უნდა ჩაითვალოს რომ დათხოვნილები ვყოფილვართ მოსამსახურეები და ჩვენ კი არაფერი მზგავსი ჩვენი დათხოვნისა უკეთ, რომ ვსთქვათ, ჩვენი უკუკმა პუროდ და ქუჩაში გამოყრა არც კი ვიცოდით.

ჩვენ დათხოვნილნი 13 მოსამსახურენი საბინაო სექციისა საქვეყნოდ ვაცხადებთ, რომ ჩვენი დათხოვნა თუ საერთო საქმეს გამოასწორებს, ჩვენ იმ შემთხვევაში არაფერი საწინააღმდეგო არა გვექნება, მაგრამ ჩვენ დიდი ხანია ვიცით, რომ ფითოევს ჩვენი დათხოვნა უნდოდა და მიაღწია კიდევაც მის მიზანს, რასაც არ მოითხოვდა საქმის ინტერესი.

მოქ. ფითოევმა შეცდომაში შეიყვანა ქალაქის კომუნალურ განყოფილების გამგე და შეიძლება კიდევ ბევრი შეიყვანოს შეცდომაში მან.

თუმცა ჩვენ დათხოვნილებს ჩვენი დათხოვნის შეჩერების ქაღალდი მოგვცეს ხსენებულმა საჩივართა ბიურომ და შრომის კომისარიატმა და ახლა იმყოფება ხსენებულ პრეზიდიუმში, მაგრამ მით მაინც ჩვენს დაბრუნებას სამსახურში პესიმისტურად უყურებთ.

ამიტომ ჩვენ 13 დათხოვნილი მოსამსახურეებს იმედი გვაქვს ამ ჩვენს საქმეს და მდგომარეობას ყურადღებას მიაქცევენ როგორც მთავრობა, ისევე მისი აღმასრულებელი ორგანოები და ადგილს ამოსდებენ ისეთ თანამდებობის პირს, როგორიც არის საბინაო სექციის გამგე მოქ. ფითოევი და მით ერთხელ და სამუდამოდ მოისპობა ის საშვალება, რომელიც გულს უცრუებს საბჭოთა მოსამსახურეებს მუშაობაზე.

მონდობილობით ბაიდო.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი— მთავარი კომიტეტი